ცნობის ფურცელი

№ 1937 პარასკევი, 27 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1937

ხელის-მოწერის ფასი (?) **ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

განცხადება.

ტფილისის ქალაქის თავის მოადგილე

ამით აცნობებს ბ.ბ. ამომრჩეველთ, რომ მესამე საარჩევანო ნაწილის ხმოსნების არჩევანი დანიშნულია 1902 წლის 29 სექტემბრისათვის «ტფილისის სობრანიე»-ს საზაფხულო განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზე. საარჩევნო კრებაში შესასვლელ ბილეთების მიღება შეიძლება გამგეობის კანცელარიაში 28 სექტემბრამდე. ხოლო არჩევნების დღეს «ტფ. სობრანიე»-ს სადგომში დილის 10 საათიდან კენჭის დათვლის დაწყებამდე. (ნ. 3—1)

1-ლ ოქტომბრიდან **გედევანიშვილის საავადმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები**. სასწავლებელი საგნები:

ანატომია | ექიმები: გ. ვ. სობოლევსკი
ფიზიოლოგია; | ე. გ. ფედოროვი

მასსაჟის თეორია და ტეხნიკა | ექიმები: ა. გ. მაღალაშვილი
პრაქტიკული მეცადინეობა | გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—16)

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—10)

სოფელ მეჯვრისხევში

(გორის მაზრა)

კარგი შემოსავლიანი მამული იძლევა იჯარით. მსურველს შეუძლიან იყიდოს კიდეც. ცნობების მიღება შეიძლება „ცნ. ფურცლის" რედაქციაში. (4—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვარნაძისა. (წ).

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—10)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, პარასკევს, 27 სექტემბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქ. და 7 სურ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

გერმანის როლს შეასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი.**

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები; არციბაშევისა, ზორინისა, დობრჟანსკისა, გრინჩენკო და სხვანი; ბატონები: ბონაჩიჩი, გრადოვი, სერგეევი, პეტროვი, კაზიმირო და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი. დეკორაციები მხატვრის **ნოვაკისა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღია დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ორშაბათს, 30 სექტემბერს, გაიმართება მე-3-ე იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება **„დემონი"**.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.** (ნ. 0—10)

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შრომა"

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან,

მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—9)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო იწვევს ამ საზოგადოების წევრთ, სოფლის მეურნეთ, მემამულეთ და იმათ, ვისაც სასოფლო მეურნეობა აინტერესებს, **საზოგადო კრებაზე**, რომელიც მოხდება დღეს, 27 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე. **განსახილველი საგნები:** განსაკუთრებულ საბჭოს პროგრამა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ. (გაგრძელება). (1—1)

სოფლის გულშემატკივართა საყურადღებოდ

ამ ჟამად, როგორც იცით, მთელს რუსეთში გაცხარებული მუშაობაა. მთავრობა შეეკითხა საზოგადოებას: რა და რა გაჭირვება აწუხებს სოფელსა და რა აბრკოლებს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განვითარებასაო. საზოგადოებაც დიდის ყურადღებით მიეგება მთავრობის დაკითხვას და ცდილობს ნამდვილი და ბევრი ცნობა მიაწოდოს. მუშაობენ განსაკუთრებული სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტები, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, საერობო დაწესებულებანი, კერძო პირნი,—ერთის სიტყვით, ყველანი, ვისაც შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში.

ჩვენს გაზეთში ცოტა იყო ნაამბობი ამ კომიტეტებისა და საზოგადოებების მუშაობაზე, მაგრამ მკითხველი იქიდანაც დაინახავდა, როგორ ენერგიულად შეუდგა რუსის საზოგადოება დავალებულ საგნის აღსრულებას. კომიტეტებმა და ერობათ დააყენეს მრავალი კითხვა, ყოველმხრივ მოუარეს სოფლის საქმეებს და ეჭვს გარეშეა, რომ რუსის სოფლის მდგომარეობა სავსებით იქნება აღწერილი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთის შიდა გუბერნიების კომიტეტებმა არ შეავიწროეს თავისი საგანი. მათ ორ ნაწილად გაჰყვეს საქმე და ორთავეს სრულის ყურადღებით იხილავენ: პირველ ნაწილს შეადგენენ საკითხები თვით მეურნეობის მდგომარეობის შესახებ და შეეხებიან ნამდვილს ტეხნიკურს მხარეებს მიწათ-მოქმედებისას, მევენახეობისას, მებაღეობისას და სხვა; მეორე ნაწილს შეადგენენ საკითხები სოფლის საზოგადოებრივ-ეკონომიურ პირობების შესახებ და შეეხებიან სოფლის მართვა-გამგეობას, სასამართლოს, კრედიტის საქმეს, სწავლის ორგანიზაციას, მიწათ-მფლობელობის ვითარებათ და სხვა. საერთოდ-კი თვალწინ გადაგვეშლება სრული სურათი იმისა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს რუსის სოფელი, რა აწუხებს მას და როგორ უნდა გაუმჯობესდეს მისი მდგომარეობა.

სამწუხაროდ, ჩვენში ეს საქმე ვერ მიდის ისე კარგად, როგორც საჭიროება მოითხოვს. ჩვენში სამაზრო კომიტეტები არ დაარსებულა, ერობა არ არსებობს, საზოგადოება-კი თავის მხრით გულგრილად არის და აქაურ სამეურნეო საზოგადოების კრებებსაც-კი არ ესწრება. თუ ასე წავიდა საქმე, ცხადია, ჩვენებურ სოფლის მდგომარეობისა და საჭიროების შესახებ ვერავითარ ცნობებს ვერ წარვუდგენთ უმაღლეს მთავრობას და ჩვენის ხალხის ცხოვრება ისეთისავე სიბნელით იქნება მოცული, როგორც დღეს არის.

ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტები მოკლე ხანში იწყებენ მუშაობას, მაგრამ თუ სხვა-და-სხვა საზოგადოებანი და კერძო პირნი არ დაეხმარენ, ისინი ვერ მოახერხებენ საჭირო სისრულითა და სინამდვილით შეისწავლონ ჩვენებურ სოფლის მდგომარეობა და მისი საჭიროებანი. ცხადია, გარემოება მოითხოვს ქართველ საზოგადოებისაგან და უმთავრესად სოფლის გულშემატკივართაგან თავის მხრით დახმარება გაუწიონ კომიტეტებსა და კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას; გაუზიარონ მათ თავისი აზრი სოფლის საჭიროებათა შესახებ და თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორი მალამო უნდა დაედოს სოფლის მრავალ იარას.

ჩვენის მხრით მზადა ვართ ამ გვარ გულშემატკივართ გავუადვილოთ საქმე და გაზეთის ფურცლები დავუთმოთ იმათ, ვინც მოისურვებს ამა თუ იმ დაყენებულ საკითხს შეეხოს ან თავისი მოსაზრებანი გამოსთქვას სოფლის მეურნეობა-მრეწველობისა და, საზოგადოთ, სოფლის ხალხის საჭიროებათა შესახებ. საგანი მეტად რთული და ძნელია, მაგრამ ყოველ გულშემატკივარსა და სოფელთან დაახლოვებულს მოღვაწეს შეუძლია სასარგებლო აზრი წამოაყენოს და საჭირო ცნობები მიაწოდოს, ვისაც ჯერ არს, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა შესახებ. ჩვენში რომ ერობა ყოფილიყო, მაშინ სოფლის ცხოვრებაც უფრო გათვალისწინებული გვექნებოდა; ამიტომ სწორედ ჩვენშია საჭირო კერძო პირთა და დაწესებულებათა ენერგიული მუშაობა, რათა შიდა-რუსეთს არ ჩამოვრჩეთ და ხელსაყრელი დრო, როდესაც შეგვიძლია თვითაც გავიგოთ სოფლის მდგომარეობა და სხვასაც შევატყობინოთ, უბრალოდ არ დავკარგოთ. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება აპირებს მეურნეთა საზოგადო კრების მოწვევას ზოგიერთ პროვინციალურ ქალაქებში და ბოლოს ტფილისში, რათა თვით მეურნეთ გამოსთქვან თავისი აზრი სოფლის შესახებ. ეს მოსაწონი განზრახვაა. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ამ კრებებზე ყველას არ შეუძლია მისვლა და სჯა-ბაასში მონაწილეობის მიღება. ამიტომ ჩვენ ვიწვევთ ყველა გულშემატკივართა და სოფლის მცოდნეთ გაზეთში გამოსთქვან თავისი აზრი და გაგვიზიარონ ცნობები სოფლის საჭიროებათა შესახებ.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დამცველმა ლიგამ" მოწოდება დაბეჭდა და მთელს საფრანგეთს სთხოვა: ფული შევკრიბოთ და ზოლას ძეგლი დავუდგათო.

„საფრანგეთი არას დროს არ დაივიწყებს, რომ ზოლამ თავისი მძლავრი ხმა სამართლისა და ჭეშმარიტების დასაცველად აამაღლა და თავისი მაღალი ადამიანური გრძნობა მკაფიოდ, სავსებით და მშვენივრადაც გამოსთქვა. ეს საგმირო საქმე დიდხანს ეხსომება განათლებულს ხალხს. დარწმუნებულნი ვართ, განსვენებულის ყველა მეგობრები და თაყვანისმცემელნი უარს არ იტყვიან და ეცდებიან ზოლას სახელი დიდებით შეჰმოსონ. ესენი მოვალენი არიან განსვენებულ მწერლის ძეგლზე სიტყვა „სიმართლე" ამოსჭრან. მუხდალ ბედის განგებით, თვითონ განსვენებულმა ველარ მოასწრო ამ სიტყვის დაწერა".

✦ ამ დღეებში მინისტრების საბჭომ, ლუბეს თავმჯდომარეობით, საბოლოოდ გადასწყვიტა, პარლამენტის სესია 1 ოქტომბრიდან (ახ. სტ.) დაიწყოსო. ფინანსთა მინისტრმა 1903 წლის ბიუჯეტის პროექტი მოახსენა საბჭოს. ეს პროექტი პარლამენტის შეკრებისთანავე პალატას წარედგინება. პროექტში ორიოდე წვრილმანი საფინანსო რეფორმაა შეტანილი: სხვათა შორის, სასმელების გადასახადია შეცვლილი და საფ-

რანგეთის ფასიან ქაღალდების გადასახადიც დაკლებული. იუსტიციის მინისტრმა გამოაცხადა: რეაქციონერებმა აგიტაცია გამართეს, უნდათ, ხალხს სახელმწიფო შემნახველ კასებიდან შეტანილი ფული გამოატანინონ. სამოხამართლო მოხელეებს ვუბრძანე, რომ ეს საქმე კარგად გამოიძიონ.

◆ პირველმა მინისტრმა უბრძანა ბრეტონის პრეფექტებს, ადგილობრივმა სამღვდელოებამ სჯულის კატეხისმო ბრეტონულ ენაზე აღარ ასწავლონ მოსწავლეებსაო.

◆ სარწმუნოებათა სამინისტრო ამ ჟამად აკრძალულ კონგრეგაციათა თხოვნებს არჩევს. კონგრეგაციები საფრანგეთში დაბინავების ნება-რთვას თხოულობენ. სულ 456 თხოვნაა შეტანილი. პარლამენტს სესიის დაწყებისათანავე წარუდგენენ ამ თხოვნებს. 456 თხოვნიდან 61 კაცების კონგრეგაციებს წარმოუდგენიათ და 395—ქალებისას. თხოვნებს თითო-თითოდ-კი არა, დასტა-დასტად წარუდგენენ პალატას: სწავლების საქმის მიმდევარ კონგრეგაციების თხოვნებს ერთად, ღარიბთა მფარველი კონგრეგაციებისას ცალკე და სხვ. ამ თხოვნებს პალატა ჩვეულებრივის წესით განიხილავს, ე. ი. ჯერ კომისიას გადასცემს და მერე მთელს პალატას წარედგინება განსახილველად.

ინგლისი. ამას წინად გაზეთებში ეწერა: ინგლისის მთავრობა კაპიტალისტების ამხანაგობისაგან როდეზიას ჰყიდულობსო (სამხრეთ-აფრიკაშია). ეხლა „დეილი მეილ“-ი გადაჭრით უარ-ჰყოფს ამ ცნობას.

◆ ირლანდიელ ნაციონალისტთა დასმა მეფის გვირგვინის კურთხევის დღესასწაულებში მონაწილეობა არ მიიღო. მარტო დეპუტატი ო'დოგერტი არ დაემორჩილა მთელის დასის დადგენილებას და მეფის გვირგვინის კურთხევას დაესწრო. ირლანდიის შეერთებულ ლიგის განყოფილებამ ჩრდილოეთ დენეგალში (ო,დოგერტი აქაური დეპუტატია) მოსთხოვა ო'დოგერტის დეპუტატის თანამდებობიდან გადადექიო. ო'დოგერტიმ ამ დღეებში წერილით უპასუხა ლიგის განყოფილებას: თქვენ გადაწყვეტილობას არ დავემორჩილები, რადგანაც ჩემი ამომრჩევლები წინანდებურად მენდობიან და დახმარებასაც მიწევენო. დეპუტატი უმატებს: ირლანდიელ მეთაურების ტაქტიკა მარტო აფერხებს და აგვიანებს ირლანდიის სურვილის ასრულებასაო.

◆ „მორნინგ პოსტ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: გენერლებს ბოტას, დელარეის და დევეტს ბერლინიდან ამ ნაირი პასუხი მოუვიდათ: იმპერატორი დიდის ხალისით მიგიღებსთ, თუ ჩვეულებრივ ფორმალურ წესებს შეასრულებთო; ე. ი თუ თქვენ თხოვნას ბრიტანიის ელჩი გადასცემს იმპერატორსაო. ეს პასუხი ბარონ რიხტჰოფენმა ბრიტანიის ელჩს ლასელსს შეატყობინა, ლასელსმა კიდევ თავის მთავრობას აცნობა. ასე რომ ეხლა ეს საქმე ბრიტანიის მთავრობის ხელშია; ამბობენ, მთავრობაც არ დაუშლის ბურის გენერლებს იმპერატორ ვილჰელმ მე-II-ის ნახვასაო.

შეერთებული შტატები. ხუთი თვე სრულდება, რაც პენსილვანიის ქვა ნახშირის მადნებში მუშაობა აღკვეთეს. დიდი ზარალი მისცა ხალხს ამ ამბავმა. ნიუ-იორკიდან იწერებიან, 17 სექტემბრის თარიღით: მთელს ქალაქში ორი ათასი ტონა ქვა-ნახშირი ძლივსღა იქნებაო. კვლავ კი ამ დროს 140 ათასი ტონაც ყოფილაო. ყველანი სჩივიან, ნახშირი გვაკლიაო; ანტრაციტის ფასმა საშინლად აიწია: ერთი ტონა 21 დოლარი ჰღირს. 16 სექტემბერს დეტრუაში დიდი კრება მოახდინეს და დაადგინეს, ხუთშაბათს ეროვნული კონვენტი შევკრიბოთ და მოვილაპარაკოთ, თუ საქმეს რა ვუშველოთ და მადნებში მუშაობა რანაირად დავაწყებინოთ ხალხსაო. ბოსტონის ქალაქის გამგეობაც აპირობს ამნაირ კონვენტის მოწვევას. რაკი საქმე ასე გაჭირდა, პრეზიდენტმა რუზველტმა 17 სექტემბერს რამდენიმე მინისტრი სათათბიროდ მიიწვია. გაზეთები იუწყებიან, მინისტრებს მოულაპარაკნიათ და დაუდგენიათ: ფედერალური მთავრობა ვერას გააწყობსო, რადგანაც არაფერი საბუთი არა აქვს, ამ საქმეში გაერიოსო. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი მაინც სწერს: პრეზიდენტი თითონ მოელაპარაკება მადნის პატრონებს და ეცდება, უშველოს რამე საქმეს. ქვა-ნახშირის ტრესტი მეტის-მეტად გაკერპდა და არაფრის დათმობას არ აპირობს. ამ სიკერპემ შეიძლება, მომავალ არჩევნების დროს შტატებში მეტად დიდი ზარალი მისცეს რესპუბლიკელთ დასს. პრეზიდენტიც ამიტომ სცდილობს, რომ მებრძოლნი როგორმე მოარიგოს.

ავსტრო-ჰუნგრეთი. პირველ მინისტრების მოლაპარაკება შეთანხმებაზე ჯერ არ გათავებულა და არც იმედია, რომ მალე გათავდეს.

◆ „ტან“-ს სწერენ: რა წამს რეიხსრატი გაიხსნება, კერბერი ბიუჯეტს წარუდგენს განსახილველად. ბიუჯეტის შემდეგ ჯარის თაობაზე წარადგენს კანონ-პროექტს. მანამ რეიხსრატი ამ საქმეებს განიხილავს, კერბერი ეცდება ჩეხები და გერმანელები როგორმე მოარიგოს. შემდეგ ავსტრო-ჰუნგრეთის შეთანხმების პროექტსაც წარადგენს. მაგრამ ჰფიქრობენ, იქნება რეიხსრატმა ბიუჯეტის განხილვა მალე ვერ მოასწროსო და შეთანხმების პროექტიც 1903 წლამდე ვერ დამტკიცდეს.

◆ „ნოვა რეფორმა“ გალიციელ პოლონელებს ურჩევს, კერბერის წინააღმდეგ იმოქმედეთო. გერმანელების ნება-დაურთველად პირველი მინისტრი ფეხსაც არა სდგამსო. ეხლა ავსტრიაში ნამდვილად გერმანელები ბატონობენ. პოლონელთა კლუბი ვითომ კერბერს ემორჩილება, ნამდვილად კი გერმანელების ბრძანებას ასრულებს ყურ-მოჭრილ მონასავით. ამათი პოლიტიკა ნამდვილად დაღუპავს ავსტრიას. სლავიანები მოვალენი არიან გერმანელების ბატონობა შეჰმუსრონ და ავსტრიას პოლიტიკური და ეკონომიური დამხობა თავიდან აიცილონ. კერბერი მაგდენად არად აგდებს ჩეხების ობსტრუქციას, მაგრამ ნამდვილად კი ძლიერ საშიშია ეს ობსტრუქცია. სადამოჟნო ტარიფის ყოველ ბაჟზე, ჩეხებმა თითო სიტყვაც რომ წარმოსთქვან, მთელ ტარიფსაც დაამხობენ და ავსტრ-ჰუნგრეთის შეთანხმების პროექტსაც. საშველი არა აქვს რა კერბერს. ან კი რას იზამს კერბერი და რას დაჰპირდება ჩეხებს, როცა გერმანელებმა სწორედ ბორკილები გაუყარეს ხელ-ფეხში. ეს ბორკილები უსათუოდ უნდა დაიმსხვრეს, თორემ ავსტრო-ჰუნგრეთის შეთანხმებას ვერ ეღირსებიან.

ახალი ამბავი

◆ ხვალ, 28 სექტემბერს, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდება **პირველი სხდომა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტისა** სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსაკვლევად.

◆ დღეს, საღამოს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება განაგრძობს თავის მუშაობას **სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა** განსახილველად.

◆ დღეს დაიწყება თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით, ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** სხვათა შორის, კრებამ უნდა გაანაწილოს სათავად-აზნაურო ბანკის მოგება და გადასწყვიტოს, როგორ მოიხმაროს უმაღლესად ნაბოძები ფული. სულ განსახილველია 8 საქმე. კრება მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

◆ ქუთაისის გუბერნატორს, როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, უკვე **დაუმტკიცებია ფოთის ქალაქის ხმოსანთა არჩევნები.**

◆ 25 სექტემბერს სხდომა ჰქონდა საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა ხატისოვისა და ბრაილოვსკის პროექტისა **სოლოლაკის მთის ქვეშ ტუნელის გაყვანის** შესახებ. კომისიამ პრინციპიალურად გადასწყვიტა ნება დართოს აღნიშნულ ინჟენერებს სოლოლაკის მთის ქვეშ საბოტანიკო ბაღამდე ტუნელის გაყვანისა; ამასთანავე დაადგინა საკონცესიო ვადად დაინიშნოს 40 წელიწადი და დაევალოს ბრაილოვსკისა და ხატისოვს 4 თვის განმავლობაში შეიმუშაონ და წარუდგინონ გამგეობას დაწვრილებითი პროექტი საკონცესიო პირობისა. ინჟინერებმა ითხოვეს აგრეთვე ტუნელში ცხენის რკინის გზის გაყვანაც. კომისიამ დაადგინა, ეს საქმე განუხილველი დარჩეს იმ დრომდე, ვიდრე გამგეობას სრულს პროექტს წარუდგენენ.

◆ ამას წინად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გამოუგზავნა პროექტი რუსეთის იმპერიაში **მეთევზეობის საქმის გაუმჯობესების** შესახებ და სთხოვა თავისი აზრი წარედგინა ამ საქმის შესახებ. გუშინ სამეურნეო საზოგადოების საბჭომ კიდევ მიიღო მოწერილობა დეპარტამენტისაგან, რომელიც სთხოვს, დააჩქარეთ თქვენის აზრის გამოგზავნაო. დეპარტამენტს სხვა დაწესებულებათაგან უკვე მიუღია შენიშვნები და ახლო მომავალში განსაკუთრებული კომისია შეუდგება კიდეც მასალის განხილვას. როგორც შევიტყეთ, სამეურნეო საზოგადოებას აღნიშნულ პროექტის შესახებ თავისი მოსაზრებანი უკვე შეუმუშავებია.

◆ **სახელმწიფო ბანკის მმართველი ბ-ნი პლესკე,** რომელიც გუშინ-წინ ტფილისს ჩამოვიდა, გუშინ-წინვე „რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების“ კავკასიის განყოფილებაში ყოფილა. ბ. ნი პლესკე ვიცე-პრეზიდენტია ამ საზოგადოებისა. გუშინ დაუთვალიერებია ახალი სახლი კავკასიის განყოფილებისა; ეს სახლი, როგორც ვიცით, გრიბოედოვის ქუჩაზე შენდება სამუსიკო სასწავლებლისათვის და 117 ათას მანეთად დაჯდება. სამუსიკო განყოფილების წარმომადგენელთ მოახსენეს ბ-ნ პლესკეს: სახლის დასამთავრებლად ფული აღარ გვყოფნის, რადგან 45 ათასამდე შემოწირულებით შეკრებილი ფული და 40 ათასიც ამ სახლის დაგირავებით ბანკიდან გამოტანილი სულ ერთიანად შემოგვეხარჯაო. ბ-ნმა პლესკემ მწუხარებით აუწყა, „რუსეთის საზოგადოებაც“ ულონოა და შემწეობას ვერ აღმოუჩენს ამ საქმესო, ფინანსთა სამინისტროც ფულებს მაგრად ეჭიდება სხვა-და-სხვა ხარჯების სიბევრის გამოო. ასე რომ ისევ შეწირულებათა მოგროვებას მიჰყავით ხელიო. მიუხედავად ამისა, სახლი მაინც უნდათ იანვრისათვის სულ დაამზადონ და იქ მოათავსონ ტფილისის სამუსიკო სასწავლებელი. გუშინვე სამუსიკო სასწავლებელში იყო ბ-ნი პლესკე და მოსწავლეთა გამოცდას დაესწრო. საღამოს ტფილისიდან გაემგზავრა.

◆ 25 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ დანდუროვის საჩივრის გამო გამოაცხადა განაჩენი მკითხველებს ეხსომებათ, რომ დანდუროვი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 2,000 მანეთს ედავებოდა. ამ განაჩენის ძალით **სამეურნეო საზოგადოებამ დანდუროვის** სასარგებლოდ უნდა გარდახდეს 1,000 მან.

რუსეთის ქრონიკა

◆ რუსული გაზეთები სწერდნენ, რომ მთავრობა ჰფიქრობს სააფთიაქო საქმე ხაზინას გადასცენო. ეხლა „ნოვოსტი“ სწერს, რომ მთავრობამ მოუხერხებლად სცნო ეს საქმეო. იმავე გაზეთის სიტყვით, ჰფიქრობენ, გააადვილონ აფთიაქის გახსნა.

◆ ნება-დართულ იქმნა, რომ სასულიერო სემინარიებში მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლებად სასულიერო აკადემიებში სწავლა-დამთავრებულნი დაინიშნონ ხოლმე.

◆ პეტერბურგის ქალაქის თვით-მმართველობის რევიზია უკვე დამთავრდა. ამავე თვეში შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგება კომისია იმ ცვლილებათა შესახებ მოსალაპარაკებლად, რომლის მოხდენასაც ჰფიქრობენ საქალაქო დებულებაში.

ხმოსანთა არჩევნები მეორე საარჩევნო ნაწილში

გუშინ, 26 სექტემბერს, „ტფილისის საკრებულოს“ საზაფხულო სადგომში არჩევნებისთვის გამოცხადდა სულ 187, რომელთაც 195 ხმა ჰქონდა. თავმჯდომარემ წაიკითხა იმათი სია, რომელთაც კენჭის ყრაზე თანხმობა განაცხადეს. შემდეგ კენჭის ყრას შეუდგნენ. აი იმათი გვარები, ვინც ყუთი დაიდგა:

		თეთრი	შავი
1)	ალიხანოვი ი. მ.	152	42
2)	ალხაზიშვილი ი. ს. . . .	74	118
3)	ამირხანოვი ი. ი.	101	90
4)	ანანოვი ს. ი.	130	62
5)	არღუთინსკი-დოლგორუკი თავადი ნ. ვ.	161	30
6)	ახუნდოვი რახიმ ბეგ . .	147	46
7)	ბებუთოვი თავ. ა. ა. . .	132	59
8)	ბებუთოვი თავ. ა. ი. . .	144	50
9)	ბეგზადოვი ა. ს.	102	92
10)	ბუდაგოვ-ბაღდასაროვი ა. ს.	115	77
11)	გონიევი კ. ა.	134	60
12)	ვართანოვი ა. ი. . .	109	83
13)	ვარშამოვი ა. ა. . . .	89	104
14)	გურგენბეკოვი ი. ი. . .	109	84
15)	დოლუხანოვი პ. მ. . .	125	67
16)	ევანგულოვი ლ. გ. . .	138	55
17)	იოანესიანი რ. აბ. . . .	129	54
18)	კობიაკოვი ი. დ. . . .	48	144
19)	კანდურალოვი ვას. გრ. .	102	89
20)	კოცოცოვი ი. ა.	34	159
21)	ქანანოვი მ. ზ.	125	68
22)	მარკოზოვი ი. ნიკ. . .	92	101
23)	მილოვი ა. ი.	113	80
24)	მელიქ-ბეგლიაროვი ი. ალ.	140	52
25)	ნარიმანოვი ნ. ზ. . . .	77	116
26)	მირზოევი ს. ზ. . . .	103	88
27)	ფსაროვი ი. გ.	122	72
28)	სულხანოვი ი. ალ. . .	139	53
29)	თაიროვი ი. ა.	137	55
30)	თამამშევი გ. ზაქ. . . .	124	69
31)	თულაშვილი ი. გ. . .	121	71
32)	ენფიანჯიანცი ტ. ა. . . .	171	21
33)	ტერ-ასატუროვი გ. ბ. .	115	72

ამრიგად ხმოსნებად არჩეულ იქმნენ: ი. მ. ალიხანოვი, ს. ი. ანანოვი, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რახიმ ბეგ-ახუნდოვი, თავ. ა. ა. ბებუთოვი, თავ. ა. ი. ბებუთოვი, ა. ს. ბუდაგოვ-ბაღდასაროვი, კ. ა გონიევი, ა. ი. ვართანოვი ი. ი. გურგენბეკოვი, პ. მ. დოლუხანოვი, ლ. გ. ევანგულოვი, რ. ა. იოანესიანი, მ. ზ. ქანანოვი, ა. ი. მილოვი, ი. ა. მელიქ ბეგლიაროვი, ს. ზ. მირზოევი, ი. გ. ფსაროვი, ი. ა. სულხანოვი, ი. ა. თაიროვი, გ. ზ. თამამშევი, ი. გ. თულაშვილი, ტ. ა. ენფიანჯიანცი და გ. ბ. ტერ-ასატუროვი, სულ ამორჩეულ იქმნა 24 ხმოსნად და სამი—კანდიდატად: ვ. გ. კანდურალოვი, ი. ი. ამირხანოვი და ა. ს. ბეგზადოვი. ამოსარჩევი იყო 24 ხმოსანი და 5 კანდიდატი და რადგანაც ამოურჩეველი დარჩათ 2 კანდიდატი, მომავალ კვირაში მოხდება განსაკუთრებით დამატებითი კრება 2 კანდიდატის ამოსარჩევად.

კრება დასრულდა ნაშუადღევის $2^{1}/_{2}$ საათზე.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

(დასასრული)

როგორც ვთქვით, შემდეგ კრება შეუდგა პროგრამის 1-ლ მუხლის (სამეურნეო ცოდნათა გავრცელება) განხილვას.

თავ. ვ. ს. მიქელაძე ამტკიცებს, რომ დღევანდელი სახალხო სკოლა ცუდათ მოქმედობს სასოფლო-სამეურნეო წარმატების საქმეზე, აფერხებს სამეურნეო განვითარებასა და სოფლის წინსვლას. ბავშვი 6 წელიწადს სწავლობს, ამდენი ხანი მოშორებულია ცხოვრებას და იძენს მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნას. სოფლისა მან აღარა იცის-რა და კიდეც ეთაკილება თავისავე წრეში ჩადგომა და მუშაობა. მიდის ქალაქში და იქ ლაქია-მზარეულობასა ან უბრალო მუშაობას სწირავს თავის ძალ-ღონეს. ბოლოს, დაუძლურებული, ბრუნდება სოფელში და სრულიად გამოუსადეგარი რჩება. აი ამიტომ არის საჭირო სპეციალური სამეურნეო სკოლა სოფლისათვის! ამგვარი სკოლა ბავშვს მეურნეობას შეაყვარებს და ქალაქში წასვლის საღერღელს არ აუშლის. ხოლო დღევანდელს სახალხო სკოლას, ვნების მეტი, თითქმის არაფერი არ მოაქვს.

ვ. ი. სოკოლოვი. თავ. მიქელაძის მოსაზრება შემცდარად მიმაჩნია, ხალხი სოფლიდან ქალაქს გარბის არა იმიტომ, რომ სკოლა არ ვარგა და ცუდი გავლენა აქვს, არამედ ეკონომიურის მიზეზების გავლენით. სიღარიბე და სხვა შევიწროება აიძულებს ხალხს ლუკმა-პურის საძებნელად ქალაქში გადაიხვეწოს. საზოგადო სკოლა აუცილებლად საჭიროა ხალხისთვის და ჩვენ იმის გაუქმებაზე-კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ იმაზე, როგორ შეუწყობს ხელს საზოგადო და სპეციალური—სამეურნეო სკოლა სასოფლო-მეურნეობის წარმატებას.

ა. ნატროშვილი. იმას ვერ ვიტყვით, ვითომც სახალხო სკოლას სრულიად სარგებლობა არ მოჰქონდეს; მაგრამ ის-კი ცხადია, რომ, სწავლის ცუდათ დაყენების გამო, მეტად ცოტაა სარგებლობა. ბავშს თუ პირველ-დაწყებითი სწავლა დედა-ენაზე არ შეუძენია, ძნელია, რომ საკმაო ცოდნა გამოიტანოს იქიდან.

ა. ბ. ჟვანგულაძე. თავ. ვ. მიქელაძის აზრს, რომ დღევანდელ პირობებში ჩაყენებულ სახალხო სკოლას ზარალის მეტი არა მოაქვს რა, მეც ვეთანხმები. თუ სულ სხვა ნიადაგზე არ გადაკეთდა დღევანდელი სკოლა, შეუძლებელია მისგან ნაყოფის გამოღება. პირველ დაწყებით ცოდნასთან ბავშვმა უსათუოდ სპეციალური ცოდნა უნდა შეიძინოს. სახალხო სკოლებში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სამშობლო ენის სწავლებას.

ბ-ნი დემენტიევი თვის სიტყვაში უპირატესობას აძლევს საზოგადო განათლებას და მაღლა აყენებს ასეთის ცოდნის გამავრცელებელ სკოლას სამეურნეო სკოლაზე.

მიხ. ყიფიანი. უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ხალხი სოფლიდან ქალაქში მიდის, ქალაქის ეკონომიური პირობებია. განა შესაძლებელია ითქვას, რომ სოფლელთა ქალაქში გაქცევა სახალხო სკოლის შედეგია? ქალაქის დღევანდელი ცხოვრება მუშა ხელს თხოულობს, აი, ამიტომ მიეშურება ხალხი სოფლიდან. თუ რკინის გზის სახელოსნოებს სახეში მივიღებთ, განა შეგვიძლიან სთქვათ, რომ სახალხო სკოლა არასფერს აძლევს ხალხსაო? ამ ხელოსნებმა სახალხო სკოლა გაიარეს. რკინის გზის მოსამსახურეთა უმრავლესობა, ხელოსნები, მუშები,— ყველას ეს სკოლა აქვს გათავებული. წერა-კითხვა რომ არა სცოდნოდათ, ადგილებს ვერ იშოვნიდნენ. წერა-კითხვის მცოდნენი წიგნებს კითხულობენ და სახელოსნოებში სპეციალურ საგნებს სწავლობენ. შეიძლება ის ითქვას მხოლოდ, რომ სახალხო სკოლა ისე არ არის მოწყობილი, როგორც სასურველია. საჭიროა ამიტომ სკოლის გადაკეთება. ამას გარდა, საჭიროა სწავლა უსათუოდ სამშობლო ენაზე სწარმოებდეს, რომ დრო ტყუილად არ დაიკარგოს. შემდეგ ყიფიანი საფრანგეთის სახალხო სკოლას შეეხო და სურვილი გამოსთქვა, რომ სკოლებთან გამართულ იქმნეს სამეურნეო განყოფილებანიც.

ბ-ნი სააკოვი. სწავლა დაბალ საფეხურზე სდგას ჩვენში ვიდრე ხალხი სიბნელიდან არ გამოვა და კულტურულ გზას არ დაადგება, მანამდე სამეურნეო სკოლები მხოლოდ მცირე ნაყოფს გამოიღებს. გაუნათლებელი ხალხი ვერ ითვისებს სპეციალურ ცოდნას. თავ. მიქელაძე სკოლას კი არ უსაყვედურებს, რომ ვნება მოაქვსო, არამედ სახალხო სკოლების ეხლანდელ უნიადაგო მდგომარეობას უჩივის, რაც ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

თავ. გ. მიქელაძე. მისაყვედურეს, სკოლის წინააღმდეგი ხარო, თითქოს ვამტკიცებდე, რომ სკოლას ზარალის მეტი არა მოქვს-რა. არ ვამბობ ამას და ან ვინ იტყვის? თუ სახალხო სკოლების უნაყოფობა აღვნიშნე, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სკოლა ისე არ არის მოწყობილი, როგორც სასურველია. აქ სთქვეს, რომ სოფლიდან ქალაქში მეტი ელემენტი მიდისო. მეტი კი არა, დიდი უმრავლესობა მიდის. სოფელში მუშა ხელი აღარა რჩება; ქალაქზე უფრო ბევრად ძვირია მუშა ხელი სოფელში. საზოგადო განათლების წინააღმდეგი მე არა მითქვამს-რა, ვამბობ მხოლოდ, რომ საზოგადო განათლება დამთავრებულად უნდა მიიღოს კაცმა. ჩვენში რომ ინტენსიურმა მეურნეობამ ფეხი მოიკიდოს, უნდა უსათუოდ კარგად მოწყობილ სახალხო სკოლების გარდა სასოფლო-სამეურნეო სკოლებიც დაარსდეს. უცხოეთში ორს დღიურზე მეურნეს, წლიურს სარჩოს გარდა, გასასყიდი სანოვაგეც მოჰყავს. განა ჩვენში შეიძლება ესა?

საგარდა-ზახსენსკის საჭიროდ მიაჩნია, რომ სოფლელ ქალთა შორისაც გავრცელდეს სამეურნეო ცოდნა.

თავ. დ. ჯანდიერი. რუსეთში 130 მილიონი მცხოვრებია. აქედან 128 მეურნეობით სცხოვრობს და 2 მილიონი საქარხნო მრეწველობით. ეს ციფრები დიდად საგულისხმოა. უმთავრესი ყურადღება ისეთ სასოფლო-სამეურნეო სკოლების გავრცელებას უნდა მიექცეს, რომელთა შემწეობით მეურნე მიწას აღარ მოშორდეს, რადგანაც, როგორც თავ. მიქელაძემ აღნიშნა, სასოფლო მეურნეობა ქვა-კუთხედია მთელის რუსეთის სახელმწიფოსი. ზოგი ამბობს, კარგია, რომ სოფლელი ქალაქისაკენ მიეშურება. კარგი მაშინ იქნება სოფლელის ქალაქისაკენ დაძვრა, როდესაც სოფლელი უკვე მომწიფებული მიდის და იმდენი ცოდნა აქვს, რომ უკან დაბრუნებისას სოფელს რამეს მოუტანს.

გ. დ. იოსელიანი. არ შემიძლიან, არ აღვნიშნო ის უმთავრესი მიზეზი, რომელიც აიძულებს მეურნეს სოფლიდან ქალაქში გაქცევას. ცხოვრების ახალმა პირობებმა შეაგნებინა გლეხს, რომ ისიც ადამიანია; უნდა იმასაც ისე უყურებდნენ, როგორც სხვებს. გლეხი სოფელში ისე შევიწროებულია და იმისი პიროვნება ისეა შელახული, რომ ცდილობს, ასეთ გარემოებას თავი დააღწიოს. სანამ სოფელში უკეთესი პირობები არ შეიქმნება, გლეხი ქალაქისკენ სირბილს არ გაანებებს თავს.

სულთან-კრიმ-გირეი. ამ საგანზე კრებას განსახილველი მოხსენება წარედგინება, ამიტომ ლაპარაკი შევწყვიტოთ. სოფელში მკურნალობასა და სასამართლოს საქმეებსაც ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა ამიტომ ვსთხოვოთ სამკურნალო და სასამართლო დაწესებულებებს აღნიშნულ საკითხებზე მოხსენებანი შეადგინონ.

ექიმი ნაზაროვი. კავკასიაში ძნელად მოეწყობა მკურნალობის საქმე იმ დრომდე, ვიდრე თვით ხალხს არ ექნება თვით-მმართველობა, ერობა. მკურნალობა-კი დიდად და დიდად საჭიროა. ბევრი კუთხე კავკასიაში გადაშენების გზას დაადგა. ამ საგნის შესახებ ვრცელი მოხსენება უკვე მაქვს შემუშავებული და განსახილველად წარმოგიდგენთ.

კრება გადაიდო დღეისათვის.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

ნეტა საბჭოს ყოველ კრებაზე იყოს არჩევნები და იმდენი ხმოსანი დაესწროს, რამდენიც 23 სექტემბრის კრებას, რომ სხვა საქმეებიც განიხილოს. შეიკრიბა 39 ხმოსანი; კრება დაიწყო $8^{1}/_{2}$ საათზე ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით.

წინა სხდომის ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ ხმოსანმა თავ. პ. ა. თუმანიშვილმა სთხოვა მოურავს ეცნობებინა საბჭოსთვის, როგორ მოქმედობს უძრავ მამულების დამფასებელი კომისია. თავ. თუმანიშვილმა შენიშნა, რომ კომისიის ჯგუფები მამულების შეფასების დროს ბევრ შეცდომებს სჩადიან, რადგან არა აქვთ ერთი საზომი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ. ამიტომ კომისიის ჯგუფები ხანდახან უნდა იკრიბებოდნენ და ამა თუ იმ საქმეს ერთად არჩევდნენო. ქალაქის მოურავმა უპასუხა, რომ კომისიის ჯგუფებს სახელმძღვანელოდ ერთი და იგივე წესდება აქვთ; თუ შეცდომა მოუვათ, მამულის პატრონს შეუძლიან განასაჩივროს შეფასება და გამგეობა შეასწორებს. თუ არც ამას დაკმაყოფილდება, შეუძლიან საბჭოს მიჰმართოს საჩივრითო. მცირე კამათის შემდეგ, ქალაქის მოურავი დაჰპირდა: კომისიის ჯგუფები ხანდახან შეიკრიბებიანო.

ამ კრებაზე განსახილველად დანიშნულს 23 საქმეში განხილულ იქმნა მხოლოდ რვა, რომელთაგან უფრო საყურადღებო იყო: ა) ქალაქის გამგეობის მოხსენება ქუთაისში საქიმიო ლაბორატორიის გამართვის შესახებ.

გამგეობა თავისს მოხსენებაში, სხვათა შორის, ამბობს: „პროფესორის ვ. მ. პეტრიაშვილის გამოანგარიშებით პირველ ხარისხოვან ლაბორატორიის დაარსებას პირველად დასჭირდება 20,330 მანეთი, ხოლო ყოველ წლიური ხარჯი იქმნება 11,000 მან. მეორე ხარისხის ლაბორატორიას დასჭირდება ერთად 13,000 მანეთი და ყოველ წლიურად 8,400 მან. ლაბორატორიის შენობა გამგეობის გამოანგარიშებით დაჯდება არა უმეტეს 30,000 მანეთის. ლაბორატორიის დასაარსებელ წყაროდ გამგეობა ასახელებს იმ 32,329 მან. 93 კ., რომელიც შესდგა საურთიერთო ნდობის საზოგადოების მიერ ქალაქის სასარგებლოდ გადადებულ წმინდა შემოსავლის 10%-დან ქალაქში სატეხნიკო ცოდნის გასავრცელებლად და ქალაქის მიერ ამავე საგნისათვის გადადებულ 1820 მან. 62 კაპ. ლაბორატორიის დაარსებას დასჭირდება 43000 მანეთი, ამნაირად ქალაქს აკლდება 12,000 მანეთამდის. ყოველწლიურ ხარჯად ქალაქს შეუძლიან გადასდოს საურთიერთო საზოგადოების წმინდა მოგების $^{1}/_{10}$ ნაწილი, რაც შეადგენს 3,000 მანეთს წელიწადში, ასე რომ ყოველწლიურ ხარჯისთვისაც ქალაქს აკლდება 5000 მანეთზე მეტი. მაგრამ ქალაქი მოელის პირველ წელს ლაბორატორიიდან შემოსავალს 3000 მანეთს. ამგვარად დააკლდება მხოლოდ 2,400 მანეთი. როგორც ერთდროულ ხარჯს 12,000 მანეთს, ისე ყოველწლიურს (რაც დააკლდება 5,000 მანეთამდის) კისრულობს ქიათურის მრეწველთა საბჭო. ამ საბჭოს იმედი აქვს, რომ ფულს მრეწველთა საზოგადო კრებას (ოქტომბერში) გადაადებინებს.

გამგეობა სთხოვს საბჭოს, ნება მისცეს იშუამდგომლოს ქუთაისში ლაბორატორიისა და მასთან მუზეუმისა და აუდიტორიის დაარსების შესახებ. ნება დართოს, რომ სატეხნიკო ცოდნის გასავრცელებლად გადადებული ფული მოახმაროს ლაბორატორიას.

დ. ნ. აბდუშელიშვილი. საქმე კარგია, მაგრამ ქალაქს ნება არა აქვს საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა ნებადაურთველად ლაბორატორიას მოახმაროს ის ფული, რომელიც სატეხნიკო სწავლის გასავრცელებლადაა დანიშნული.

თავ. გ. ბ. დორთქიფანიძე. ჩემი აზრით, ამ ფულის ლაბორატორიისათვის მოხმარება ქალაქის საბჭოს საქმეა და არა საურთიერთო ბანკის წევრთა. წესდებაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ბანკის წმინდა მოგების 10% გადაეცემა ქალაქის თვით-მმართველობას და საურთიერთო ნდობის საზოგადოებასაო. რაც შეეხება სატეხნიკო სწავლა-განათლების გავრცელებას, ლაბორატორია ამ საქმეს ხელს შეუწყობს.

ხმ. დარახველიძის აზრით ეს საქმე განსახილველად სპეციალისტებს უნდა გადაეცეს.

გ. ფ. ზდანოვიჩი. ბ-ნს პეტრიაშვილზედ უფრო სპეციალისტს ქუთაისში ვერა ვნახავთ. იმან შეგვიდგინა ხარჯთ-აღრიცხვა და თითქმის შენობის გეგმაც. არსებითად თანახმა ვარ, რომ იმ ფულით, რომელიც დანიშნულია სატეხნიკო სწავლის გასავრცელებლად, ლაბორატორია დაარსდეს, რადგან საქიმიო ლაბორატორია სწორედ სატეხნიკო სწავლა-განათლების გამავრცელებელი იქმნება, მაგრამ ამავე დროს საჭიროა ფორმალური ნებართვა საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთაგან. მასთან ქიათურის მრეწველთა კრებაზედ უთუოდ ჩამოვარდება ლაპარაკი იმის შესახებ, რა დამოკიდებულება აქვს ერთმანერთში ქალაქსა და ქიათურის მრეწველთ. ამიტომ ამ საგნის გამო პასუხი უნდა მოვამზადოთ.

მ. ქ. დარახველიძე. სპეციალისტები ქუთაისშიაცა გვყავან, როგორც, მაგალითად, თოფურია, ნაზაროვი, ხეჩინოვი და სხვანი. მივანდოთ -მათ და ისინი გაგვაგებინებენ, შეგვეძლება, თუ არა ლაბორატორიის დაარსება.

გ. ფ. ზდანოვიჩი. ქალაქსა აქვს მხოლოდ 32,000 მანეთი, დანარჩენს მოელის ქიათურის მრეწველთაგან; თუ უკანასკნელებმა დანარჩენი ხარჯი იკისრეს, მაშინ ლაბორატორიასაც დავაარსებთ, თუ არა და სპეციალისტების დანიშვნა ვერაფერს გვიშველის.

36 ხმის უმეტესობით 3 წინააღმდეგ დადგენილ იქმნა: დაევალოს ქალაქის გამგეობას იშუამდგომლოს საქიმიო ლაბორატორიის დაარსების შესახებ. სატეხნიკო სწავლა-განათლებისთვის გადადებული ფული ლაბორატორიას უნდა მოხმარდეს.

ბ) წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება ხიდების შემოსავლის შესახებ. გამგეობა თხოულობს შუამდგომლობა აღიძრას, რომ ქალაქს ნება მიეცეს ხიდების შემოსავლით სარგებლობისა, თუ სულ არა, ხუთის წლით მაინც, 1903 წლის 22 მაისიდან დაწყებული. ხიდებს ეხლა შემოაქვთ 17,000 მანეთი წელიწადში. ქუთაისის კასას რომ ეს ფული მოაკლდეს, ქალაქი გაჭირვებაში ჩავარდება. მოხსენება ერთხმად მიიღეს.

გ) წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება შავის-ზღვის პირად განზრახულ რკინის გზის ქუთაისზე გაყვანის შესახებ. აზრადა აქვთ რკინის გზა გაატარონ ზუგდიდზე და ახალსენაკში შეუერთონ ამიერ-კავკასიის რკინის გზას. „აქ არ ჩამოვთვლით იმ ათას გვარ უპირატესობას, ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც ექმნება ახალს მიმართულებას (ზუგდიდი, ხონი, ქუთაისი) განზრახულთან შედარებითო. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მარტო ხე-ტყის გადაზიდვა არამც თუ ხარჯს დაჰფარავს, დიდ წმინდა მოგებასაც მისცემს რკინის გზასო. სარწმუნო წყაროებიდან ამოკრებილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ ზუგდიდის მიდამოებიდან რკინის გზას ყოველ წელიწადს 90,000,000 ფუთი ხე-ტყე ექმნება გასატანი. რაც შეეხება ტეხნიკურ პირობებს, გამგეობამ გაგზავნა სამთო ინჟენერი თავ. დ. გ. ჯორჯაძე, რომელსაც უნდა გამოეკვლია ზუგდიდსა და ხონს შუა ადგილის მდებარეობა. თა. ჯორჯაძის მოხსენებიდანა სჩანს, რომ, თუმცა ცოტა ტეხნიკური დაბრკოლებაა, მაგრამ ეს დაბრკოლება იმდენად დიდი არაა, რომ იმის გამო გზის გაყვანა შეფერხდეს. თანაც მოხსენების ავტორი დასძენს, რომ გზის უფრო დაახლოვებით გასინჯვამ, შესაძლებელია, სრულიად შესცვალოს ჩემი გამოკვლევის შედეგიო. ამ საქმის განსახილველად 12 სექტემბერს მოხდა ხმოსნების კერძო კრება. საჭიროდ სცნეს დეპუტაცია გაიგზავნოს კავკავში რკინის გზის უფროსთან პირადად მოსალაპარაკებლადაო.“

გამგეობამ სთხოვა საბჭოს დაავალოს ქალაქის მოურავს, წავიდეს კავკავს უფროსთან მოსალაპარაკებლად. მცირე კამათის შემდეგ გადადებულ იქმნა ამ საქმისათვის 500 მანეთი და მიღებულ იქმნა გამგეობის მოხსენება; ამასთან ქალაქის მოურავს დაევალა იშუამდგომლოს არა მარტო ამ ახალ მიმართულებისა, არამედ ყვირილიდან ქუთაისზე რკინის გზის შესახებაც.

გ) წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება ფარდულების აშენების შესახებ ქალაქის ადგილზე სასწორთან. საბჭომ მიიღო ეს წინადადება.

დ) წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოების თხოვნის გამო. თავმჯდომარე საზოგადოებისა ქ-ბნი სმაგინისა სთხოვს ქალაქს საავადმყოფოს ასაგებად მესხეთის ქუჩაზე იმ თავისუფალ ალაგს, სადაც ეხლა სოფლებიდან ჩამოტანილ ხე-ტყის და ჩამორეკილ საქონლის გასაჩერებელი მოედანია. ამადგილის ნახევარი დანიშნულია მომავალ მეორე საქალაქო სკოლის ასაშენებლად. გამგეობას შეუძლებლად მიაჩნია ამ ადგილის დათმობა, რადგანაც ქალაქს რიონის მარჯვენა ნაპირზე სხვა თავისუფალი ადგილი არა აქვს მოედნისათვის. ამ ადგილის ნაცვლად გამგეობას შესაძლებლად მიაჩნია დაუთმოს საზოგადოებას ბალახვანის ქუჩის ბოლოში სალორიის აგარაკის ადგილი, ბავშვთა თავშესაფარის გვერდით.

საბჭომ ეს წინადადებაც მიიღო.

ბოლოს მოხდა ქალაქის მდივნის არჩევა. ქალაქის თავის წინადადებით წერილებით დაასახელეს კანდიდატები. ივ. ილ. ჯაფარიძე 20 კაცმა დაასახელა, ა. მ. კრინიცკი—9 კაცმა. ეგონათ, ორი ყუთი დაიდგმოდა, მაგრამ გამოჩნდა მესამე კანდიდატიც, სტ. პ. ხოჯევანოვი, რომელსაც წერილობით თანხმობა გამოეცხადებია კენჭის ყრაზე. დადგეს სამი ყუთი, მაგრამ ბ-ნმა კრინიცკიმ მალე თავისი ყუთი გადაადგმევინა; ხოჯევანოვის ყუთი კი შეურყევლად დარჩა. გათავდა კენჭის ყრა. ბ-ნმა ჯაფარიძემ მიიღო 33 თეთრი და 3 შავი; ბ. ხოჯევანოვმა კი... ოთხი თეთრი და 32 შავი. კენჭის ჩაგდების შემდეგ ბ-ნმა აბდუშელიშვილმა განაცხადა, ჯაფარიძეს შეცდომით შავი კენჭი მივეციო.

ამგვარად არჩეულ იქმნა ივ. ილ. ჯაფარიძე.

დონ-ვადიანი.

თეატრი

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობამ საპრემიოდ დღემდე ცხრა პიესა მიიღო. აი ამ პიესების სახელები: 1) „შალვა ბედკრულაძე— დრამ. ეტიუდი 4 მოქმ., 2) „ხმა უდაბნოსა შინა“ დრ. 5 მოქ., 3) „ჩვენებური ბრძოლა“, კომ. 4 მოქ.; 4) „ორი თაობა“, დრ. 4 მოქ., 5) „ჭრელი სუფრა“, კომედ. 3 მოქ., 6) „მურად-ფაშა“, ისტორ. დრ. 4 მოქმ., 7) „მალხაზ ბარელი“, სცენები 4 მოქ., 8) „კენჭის ყრა“, დრამა 4 მოქ. და 9) „კიდევ ბნელა“, დრ. 4 მოქ.

საპრემიოდ მიღებულ პიესების განხილვას პირველ ოქტომბრიდან შეუდგებიან. გამგეობამ უკვე დაასახელა ისინი, ვინც პიესების კითხვისა და დაფასების დროს იქმნებიან მიწვეული.

ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში ხვალიდან დაიწყება **წარმოდგენები** რუსულ დრამატიულ დასისა ბ-ნ ნ. დ. კრასოვის მეთაურობით. ხვალ წარმოადგენენ ოსტროვსკის კომედიას „უკანასკნელ მსხვერპლ“-ს.

სახალხო თეატრში 21 სექტემბრისათვის დანიშნული ქართული სახალხო წარმოდგენა, სხვა-

და სხვა მიზეზისა გამო, არ შესდგა ღდადიდვა ხვალ, 28 სექტემბრისათვის. ამ დღეს სცენის მოყვარენი, არტისტის გამყრელიძის მონაწილეობით, წარმოადგენენ „ციმბირელ“-ს.

ბამბის მწარმოებელთა საყურადღებოდ

ვინ არ იცის, რა უკიდურეს მდგომარეობაშია ამ ჟამად ჩვენში ბამბის ალებ-მიცემობის საქმე? მოახლოვდება თუ არა ბამბის მოსავლის მოკრების დრო, სოფლები ივსება წვრილ მყიდველ-ჩარჩებით, რომელნიც იბევებენ ბამბის მოსავალს ფულისა და სხვა-და-სხვა ფართლეულის გაცემით, რის გამოც მწარმოებელი იძულებული ხდება მისცეს მთელი მოსავალი ბამბისა მხოლოდ ხსენებულ მყიდველ-ჩარჩებს. ეს უკანასკნელნიც, რასაკვირველია, სარგებლობენ ამ გარემოებით და ბამბის აწონის დროს დიდს „სკიდკას“ (ამოდენს იშრობსო, არწმუნებენ სოფლელებს) გადიან და ფასებსაც უკლებენ. „თვით არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო“, ამისი არ იყოს, ისედაც ათ შაურს და სამ აბაზ ნაკლებ უჯდებათ მყიდველებს თითო ფუთი **ყანთარსა** და **ლალარიკონზე** აწონილი ბამბა და „სკიდკის“ გამოსვლა, და ფასის დაკლება კიდევ რალაა!! სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სოფლელიც თითქოს სამაგიეროს უხდის ბამბის მყიდველებს: ხშირად ძლიერ უსუფთაო, დაუმწიფებელი ბამბა გამოაქვს ბაზარში. რა არ გინდა, შიგ არ ერიოს: სილა, ქვა, რკინის ნაჭრები, ლურსმანი და სხვა. მყიდველი ყველა ამას, რასაკვირველია, კარგადა ჰხედავს, უფრო მეტს „სკიდკას“ ითხოვს და ფასს უკლებს, ასე რომ ბოლოს თვით მწარმოებელი რჩება დასჯილი.

ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“, რომელიც დაარსდა იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიოს სოფლელებს საზოგადოდ სამეურნეო ნაწარმოების და განსაკუთრებით **ბამბისა და აბრეშუმის რიგიანად გასაღების და წარმოების საქმეში**,—თავდაპირველად შეუდგა მეაბრეშუმეობის ნაწარმოების ალებ-მიცემობის გაწეს-რიგებას და თუ რამდენად მიაღწია თავის მიზანს, იცის მხოლოდ იმ სოფლელ-მეაბრეშუმემ, რომელსაც რაიმე საქმე ჰქონია ამხანაგობასთან. რაც შეეხება ბამბის წარმოებას და ალებ-მიცემობას,—ამხანაგობა, გაეცნო რა ზემო აღნიშნულ გარემოებას, თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის, დაუყოვნებლივ შეუდგეს მის დახმარებას და გაწეს-რიგებას.

ამ ჟამად ამხანაგობამ უკვე დაამთავრა საჭირო სადგომებისა და მანქანების მოწყობა ქ. ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზე, ა. ი. მხეიძის ადგილში, და აუწყებს ბამბის მწარმოებლებს, რომ ვისაც ამხანაგობასთან ჰსურს საქმის დაჭერა, მან უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგს:

1) ამხანაგობა მიიღებს გაურჩეველ და გარჩეულ ბამბას და კურკას რიგიან ფასებში.

2) ბამბის აწონა ამხანაგობას ისე აქვს მოწყობილი, როგორც აბრეშუმის პარკის აწონა ჰქონდა, ე. ი. ბამბა აიწონება მართალ სასწორზე იმისთანა სანდო პირების მიერ, რომელნიც არ არიან დაინტერესებულნი არც ყიდვასა და არც გაყიდვაში. სოფლელებს მიეცემათ უფასოდ კვიტანციები ბამბის წონის რაოდენობისა და შემდეგ მათ შეუძლიანთ, სადაც მოისურვებენ, იქ გაჰყიდონ თავისი ბამბა.

3) ბამბა უნდა მოიკრიფოს იმ დროს, როცა იგი კარგად დამწიფებულ-შემოსულია და მშრალია. იმისდა მიხედვით, თუ როდის იქმნა ბამბა მოკრეფილი (პირველად თუ მეორედ) და რა თვისებისაა ბეწვი, იგი უნდა დაიყოს პირველ, მეორე და მესამე ხარისხად. ყველა ხარისხის ბამბა უნდა იქმნეს სუფთა, არ უნდა ერიოს გაუშლელ ბამბის ვაშლი, სილა, რკინა და სხვა. თუ ბამბა ძლიერ მშრალსა და სუფთა სახლში არ იქმნა შენახული, წახდება, შეხურდება. ბამბა გარჩევის დროს უნდა იქმნეს ძლიერ მშრალი, თორემ უმეტესი ნაწილი ბამბისა კურკას წაჰყვება.

4) თანახმად მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდებისა **ამხანაგობის წევრს—ბამბის მწარმოებელს ეძლევა შემდეგი უპირატესობა არა წევრთან შედარებით:** ყველა წევრი, ვინც-კი ამხანაგობას მიუტანს ბამბას, გარდა იმისა, რომ მაშინვე მიიღებს მთელს სალირალს არსებულ ფასების კვალობაზე, შემდეგ ოპერაციისა დივიდენდის გარდა აიღებს დამატებით ფასს იმის დაგვარად, თუ რამდენი ფუთი ბამბა მოუტანა ამხანაგობას.

5) ვინც ამხანაგობის წევრად მოისურვებს ჩაწერას, მას შეუძლიან წილის ფულის (10 მან.) მაგივრად რამდენიმე ფუთი ბამბა ან კურკა შემოიტანოს ერთად, ან ნაწილ-ნაწილად.

6) ამხანაგობა მომავალ წლისათვის გამოიწერს საუკეთესო ჯიშის ბამბის თესლს და, ვისაც სურს შეიძინოს მისგან თესლი ამ თავითვე, უნდა ჩაეწეროს. ვინც ორ ფუთს ადგილობრივ ჯიშის ბამბის კურკას დასტოვებს ამხანაგობაში, იმას ერთი ფუთი საუკეთესო ჯიშის ბამბის კურკა მიეცემა. დასათესად არჩეული კურკა უნდა იქნეს დაშუშებული და მშრალი.

7) დაწვრილებით ცნობები ბამბის ალებ-მიცემობის შესახებ მსურველს შეუძლიან მიიღოს ამხანაგობის გამგეობისაგან ქ. ქუთაისში, საკუთარ სადგომში (ბალახვანის ქუჩა, ი. მხეიძის ადგილი); ამხანაგობის აგენტებისაგან: სოფ. ვანსა, ამაღლებასა, ბაღდადსა, სვირსა, ობჩასა, სიმონეთსა და მაღლაკში.

იოსებ ქუთათელაძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 სექტემბერი

კამიშლოვი. საგუბერნიო ერობის წინადადებით, სამაზრო ერობის კრებამ დაადგინა: სწავლა-განათლება რომ ჩქარა შეიქმნეს საყოველთაოდ, სასურველია სახალხო განათლების საქმე ერთიანად საგუბერნიო ერობის ხელში იყოს.

— სახალხო განათლების საჭიროების დასაკმაყოფილებლად სამაზრო ერობის კრებამ გადასდო მომავალ წლისათვის რვა ათას თუმნამდე. უნდათ ხუთი სკოლა დააარსონ. თუ ყოველ წელს ხუთ-ხუთი სკოლა დაარსდა, საყოველთაო სწავლა-განათლება მაზრაში დასრულდება მხოლოდ ოცის წლის განმავლობაში.

ვილნო. გუშინ დილის 10 საათზე დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ იუნკერთა სასწავლებელი დაათვალიერა ვილნოში; ერთი საათი დაჰყო იქ და მერე სუმს წავიდა.

სარატოვი. საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ 840 ათასი მანეთი მოგვეცეს სესხად შიმშილობის დასაკმაყოფილებლადაო.

პარიზი. პრეზიდენტ ლუბესთან დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე იყო სადარბაზოდ. პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ სამაგიერო გადუხადა.

ბელგრადი. უცხოეთში გავრცელებული ხმები, ვითომ მაკედონიაში არეულობა ძლიერდებაო, ყურადღების ღირსი არ არის. დანამდვილებითის ცნობებიდანა სჩანს, რომ მომხდარი არეულობაც მცირე რამ იყო. ოსმალეთის მთავრობის მიერ გამოყვანილი საკმაოდ ბევრი ჯარი უეჭველია ჩქარა მოუღებს ბოლოს არეულობას.

ლონდონი. საფრანგეთისა და სიამის შორის ხელ-შეკრულობის გამო აქაური გაზეთები თავდაჭერითა სწერენ, სანამ ჯერ თვითონ ხელ-შეკრულობა არ არის გამოცხადებული. ჰფიქრობენ, ინგლისის უფლება არ იქნება დარღვეული ამ ხელ-შეკრულობითაო.

შანხაი. გარდაცვალებულ ვიცე-კოროლის დიუკუნის ადგილზე ნანკინს ჩან-ჩიტუნი გადაჰყავთ, ვუჩანში-კი ვიცე-კოროლის თანამდებობის ასრულება გუბერნატორს დაევალა.

ბერლინი. გაზ. „ნორდდოიჩე ცაიტუნგ“-ი იუწყება, რომ 5 (18) სექტემბერს იმპერატორმა აცნობა ბურთა გენერლებს, მზადა ვარ მიგიღოთ, თუ გერმანიაში ინგლისის წინააღმდეგ აგიტაციას არ მოახდენთ და თქვენ თავს ინგლისის ელჩი წარმომადგენსო. თავის ამხანაგების სახელით დევეტმა ამის თანხმობა გამოაცხადა.

— ჰააგიდან 6 (19) სექტემბერს ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ბურთა გენერლები ამ ჟამად სხვა აზრისანი არიან და ეჭვი შეეპარათ, ღირს თუ არა ჩვენ თვითონ გამოვითხოვოთ იმპერატორთან აუდიენციაო; უნდათ მიპატიჟებულნი იყვნენ. ამ გვარად, ეს საქმე დაბოლოვებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან იმპერატორის წინადადება უარ-ყოფილი იქმნა.

პარიზი. ნაციონალისტთა გაზეთების გარდა, ყველანი კარგად იხსენიებენ საფრანგეთისა და სიამის შუა ხელ-შეკრულობას. „ფიგარო“ განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა დაიმზადა თავისს სამზღვრების გაფართოების საშუალებანი მომავალში, აგრეთვე სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური უპირატესობანი, მაგრამ ისე, რომ ინგლის-საფრანგეთის ხელ-შეკრულობაც შეუბღალავად რჩება და სხვა სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით გერმანიისათვის, სიამსაკან მინიჭებული ერთნაირი უფლებანიც არ დამცირდება. აი, ამ ხელ-შეკრულობით საფრანგეთს ჰსურს თავისს უფლებათ პატივისცემა მოუპოვოს და იმავე დროს სიამთან კეთილ-მეგობრული განწყობილებაც შეინახოს.

იალტა. ინჟენერი ტიმოხოვიჩი 24 სექტემბერს ბედნიერი გახდა პირადად აეხსნა ხელმწიფე იმპერატორისათვის ლივადიის სასახლეში ვენტილაციის გამართვა. ეს ვენტილაცია თვითონ ტიმოხოვიჩის მოგონილის სისტემისაა.

ბერლინი. გაზ. „ნორდდოიჩე ცაიტუნგ“-ი ამბობს, რომ ბურებს-კი არ მიუმართავთ იმპერატორ ვილჰელმისათვის სათხოვარით, პირ-იქით, შეატყო თუ არა ბურებს ბერლინს მოსვლა განუზრახავთო, თვითონ იმპერატორმა ბრძანა, შეატყობინეთ, რა პირობით შემიძლია ისინი მივიღოო. რა მიზეზით შესცვალეს ბურებმა თავიანთი წადილი—არ იციან.

პეტერბურგი. საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიამ საჯარო სხდომაზე მიანიჭა გრაფ უვაროვის საჩუქარი: ასი თუმანი როჟკოვს, ორმოცდა-ათი თუმანი სათითაოდ—ლიხაჩევისას, სმენცოვსკის და მაიკოვს და საპატიო მოწონება—ზავიალოვსა, ვესტბერგსა და პეტროვს. საჩუქრების დარიგების შემდეგ აკადემიამ დაადგინა მადლობა გამოეცხადოს რეცენზენტებს და მიენიჭოთ უვაროვის მედლები კორნაკოვს, კაპტერევს, გოლუბოვსკის, სმირნოვს, ბობროვსკის და ვილინსკის.

10 ოქტომბერს გადაწყდა, რუსეთის ყველა რკინის გზებზე ვაგონების გამგებელთა საერთო კრება მოახდინონ.

26 სექტემბერი

ფრანკფურტი-მაინზე. სახალხო-შორისო კონგრესი გაიმართა ქალებით ვაჭრობის საწინააღმდეგოდ. რუსეთის წარმომადგენელი საბუროვია.

ნიუ-იორკი. ქვა-ნახშირის სამუშაო ადგილებში 10 ათასი ჯარის კაცი მეტი დააყენეს. პენსილვანიის გუბერნატორი იტყობინება, რომ ბევრ ადგილას იმ მუშებზე, რომელნიც თანახმანი არიან იმუშაონ, ძალას ხმარობენ ამხანაგები. რუზველტის საშუამავლოდ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ბელგრადი. არზა ადავანტიჩი მობრუნდა აქ და პასუხის გებაში მისცეს, იმიტომ რომ იმისმა ძმამ რადამ შაბაცში აჯანყება განიზრახა.

პარიზი. ქვა-ნახშირის მუშათა კომიტეტმა თავი შეიყარა მუშათა ბირჟაზე და დაადგინა, საყოველთაო გაფიცვა გაიმართოს და ხვალ დილიდან მუშაობაზე ხელი აიღოთო.

პეტერბურგი. არლოვის გუბერნატორი კრისპი მოსკოვის გუბერნატორად იქმნა გადაყვანილი. ელეცის საოლქო სასამართლოს პროკურორი იაზიკოვი პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორად დაინიშნა.

— „პრავ. ვესტნ.“-ში გამოცხადებულია, რომ 19-დან 25 სექტემბრამდე ოდესაში ახლად გამხდარა შავის ჭირით ავად სამი კაცი; 28 მაისიდან სულ გამხდარა 41 კაცი. გარდაცვლილა 13. ოდესის „გრადონაჩალნიკის“ განკარგულებით ერთსა და იმავე დროს კარ-და-კარ დაივლიან და ვირთაგვებს წამლით დაჰხოცავენ.

აქაური გაზეთები იტყობინებიან, რომ ბურთა გენერლებმა ბოტამ, დელარეიმა და დევეტმა გადასწყვიტეს ამ მოკლე დროში რუსეთი ინახულონ და მადლობა გამოუცხადონ რუსის ხალხს თანაგრძნობისა და შემწეობისათვის. გენერლები მოივლიან პეტერბურგს, მოსკოვს, კიევსა და ოდესას და ყველა ამ ქალაქებში ლექციებს წაიკითხავენ ომისაგან დაზარალებულ ბურთა მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე შეწირულებასაც მიიღებენ.

ხმელთა შუა ზღვის რუსეთის ესკადრა დეკემბერში აპირებს იტალიის წყლებში ადრიატიკში გამგზავრებას, სადაც რამდენსამე დღეს დაჰყოფს. რუსების დასახვედრად სხვა-და-სხვა გვარ დღესასწაულებს ამზადებენ იტალიაში.

კოპენჰაგენი. გარეშე საქმეთა მინისტრმა 25 სექტემბერს რიკსდაგს კანონ-პროექტი წარუდგინა შესახებ იმისა, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს დანიის საკუთრება ვესტ-ინდიის კუნძულები დაუთმოს და მოსთხოვა ამ საქმის საჩქაროდ დაბოლოვება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი
—
ცინკოგრაფია
ტიფლის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37½.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდან)
გადავიდა ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების'' ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика.
ტელეფონი № 741.
(0—21)

[illegible]
ახალი სახურავი,
რომელზედაც პატენტია აღებული
[illegible] 1901 წლის [illegible] გამოფენა
ფაბრიკა და საცინკო ქარხანა
ი. შელენგოვსკის
და
ამხანაგობისა
ბათუმში.
დიდხან გამძლევი და იაფი სახურავი
პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალული რკინისა.
პრეის-კურანტი მოთხოვნისთანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში გ. მულიარსკი
(ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში ვ. ჭილაძე
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)
(50—28)
არ ხმირია შეღებვა, მსუბუქია და ადვილად დასაშლელი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 26 Сентября, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).